




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“



ჩქაროსნული
ელექტრომატარებელი
VMK001

„ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“ (სააქციო საზოგადოება), რკინიგზის ტრანსპორტის ერთ-ერთი უძველესი საწარმო სამხრეთ კავკასიაში. დაარსდა 1883 როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები (1926 მიენიჭა ი. სტალინის სახელი), რ-იც 1928 გადაკეთდა ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქ-ნად. რკინიგზებზე ელექტრული წევის დანერგვასთან დაკავშირებით 1933 ქ-ნაში ელმავლების შემკეთებელი საამქრო გაიხსნა (მის ბაზაზე შემდგომ შეიქმნა ახლანდ. ელმავალშენებელი). 1933 საწარმო გაიყო 2 დამოუკიდებელ - ორთქლმავალშემკეთებელ და ვაგონშემკეთებელ ქ-ნებად. 1936 კვლავ გაერთიანდა. II

მსოფლიო ომის დროს ქ-ნა ამზადებდა სამხ. საჭურველს. 1970 საწარმომ პროფილი შეიცვალა - ორთქლმავლების ნაცვლად მთლიანად გადავიდა ელექტრომავლების შეკეთებაზე და ეწოდა „თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქ-ნა“. 1976-იდან დაიწყო მეტროპოლიტენის ვაგონების შეკეთებაც. საწარმო მთელ საბჭ. კავშირში წარმოადგენდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელ ერთ-ერთ ძირითად ინდუსტრ. ბაზას. 1883-1983 შეკეთდა 11687 ორთქლმავალი, 25215 სამგზავრო ვაგონი, 103268 სატვირთო ვაგონი, 249 ელმავალი, 1353 ელექტროსექცია, 5 თბომავალი, მეტროპოლიტენის 60 ვაგონი და სხვ. 1974-92 ქ-ნაში ჩატარდა გენ. რეკონსტრუქცია, განახლდა შენობა-ნაგებობები და დაზგადანადგარები. 1999 ქ-ნა

სააქციო საზღად ჩამოყალიბდა (100%-ით კერძო საკუთრებაა). აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და მოწინავე ტექნოლოგიებით. „ე. ქ.“ არემონტებს რკინიგზის ყველა სახის მოძრავ შემადგენლობას, ამზადებს მის სათადარიგო ნაწილებს და ამასთანავე ეწევა ახ. შემადგენლობების მშენებლობას. ქ-ნას, სრული დატვირთვის პირობებში, შეუძლია წელიწადში შეაკეთოს: ყველა ტიპის სამგზავრო და სატვირთო ვაგონი-1200 ერთეული, ელექტრომატარებლის სექცია- 150, მეტროპოლიტენის ვაგონი-50, წევის ძრავი-2100; დაამზადოს ახ. ფორმირების წყვილთვალა- 3000, ელმავლის და ელექტრომატარებლის დენმიმღები-120, აგრეთვე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისათვის საჭირო სხვა სათადარიგო ნაწილები. 1997-იდან ქ-ნაში დაიწყო სამგზავრო ვაგონების, ელექტრომატარებლების და სატვირთო ვაგონების კაპიტ.-აღდგენითი შეკეთება- მოდერნიზაციის სამუშაოები. 2008-იდან ჩინეთის, ჩეხეთის, გერმანიის, უკრაინის წამყვან ვაგონმშენებელ კომპანიებთან თანამშრომლობით საქართველოს ვაგონმშენებელ კომპანიაში შეიქმნა სრულიად ახალი, მუდმივ დენზე მომუშავე სამი ოთხვაგონიანი ელექტროშემადგენლობა რ-იც 2010 საექსპლუატაციოდ გადაეცა „საქართველოს რკინიგზას“. 2011-იდან იქვე დაიწყო სატვირთო ვაგონების, მ. შ. ნავთობმზიდი ცისტერნების, ხორბალმზიდების, ნახევრადვაგონებისა და პლატფორმების მშენებლობა. ქ-ნა წელიწადში ამზადებს მილიონობით ლარის პროდუქციას, მისი 20-30% საექსპორტოა. საწარმოში დასაქმებულია 800 ადამიანი. ქ-ნას აქვს კულტურის სასახლე, პროფესიული სწავლების ცენტრი და დასასვენებელი სახლი ქობულეთში. „ე. ქ-ს“ მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. არის „რკინიგზების თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წევრი (ვარშავა, 2007-იდან). ამას გარდა, სხვა ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანებულია „საქართველოს ვაგონმშენებელთა კოლდინგში“ (2008-იდან), რ-იც წარმართავს ვაგონმშენებლობის განვითარებას ქვეყანაში.

ბ. წილოსანი
